


შპს ბი ენდ კეი გეიმს
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

<u>ფინანსური მდგომარეობა</u>	<u>31.12.2023</u>	<u>31/12/2022</u>	<u>31/12/2021</u>
<u>მიმდინარე აქტივები</u>			
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,153,878.00	2,352,131.00	116,715.00
მოკლევადიანი მოთხოვნები	1,351,097.00	430,957.00	291,102.00
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	3,903.00	6,598.00
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>	<u>2,504,975.00</u>	<u>2,786,991.00</u>	<u>414,415.00</u>
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>			
არამატერიალური აქტივები	1,415,787.00	1,670,393.00	2,535,851.00
ძირითადი საშუალებები	17,892.00	12,060.00	9,847.00
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>	<u>1,433,679.00</u>	<u>1,682,453.00</u>	<u>2,545,698.00</u>
<u>სულ აქტივები</u>	<u>3,938,654.00</u>	<u>4,469,444.00</u>	<u>2,960,113.00</u>
<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>			
საიჯარო ვალდებულება	8,000.00	12,000.00	12,000.00
სავაჭრო ვალდებულებები	418,145.00	1,698,191.00	2,062,980.00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	114,436.00	-
საგადასახადო ვალდებულებები	41.00	61.00	41.00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1,190,120.00	4,173,420.00	3,153,600.00
სხვა ვალდებულებები	158,270.00	271,829.00	83,290.00
<u>სულ ვალდებულებები</u>	<u>1,774,576.00</u>	<u>6,269,937.00</u>	<u>5,311,911.00</u>
<u>საკუთარი კაპიტალი</u>			
<u>აკუმულირებული მოგება/(ზარალი)</u>	<u>2,164,078.00</u>	<u>(1,800,493.00)</u>	<u>(2,351,798.00)</u>
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>	<u>3,938,654.00</u>	<u>4,469,444.00</u>	<u>2,960,113.00</u>
დირექტორი			
ა.მეგენიშვილი			

საქმიანობის შედეგები

<u>საქმიანობის შედეგები</u>	<u>2023</u>	<u>2022</u>
ნეტო ამონაგები	10,794,643.00	3,951,126.00
მომსახურების გაწევიდან	-	-
<u>საერთო მოგება</u>	<u>10,794,643.00</u>	<u>3,951,126.00</u>
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,643,151.00)	(2,183,044.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(327,656.00)	(379,684.00)
საპროცენტო ხარჯი	(121,172.00)	(215,575.00)
იჯარის ხარჯი	(40,678.00)	(40,678.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(5,490,016.00)	(263,744.00)
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>	<u>(7,622,673.00)</u>	<u>(3,082,725.00)</u>
<u>საოპერაციო მოგება</u>	<u>3,171,970.00</u>	<u>868,401.00</u>
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	789,968.00	(326,851.00)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	2,633.00	9,755.00
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	3,964,571.00	551,305.00
<u>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში</u>	<u>(1,800,493.00)</u>	<u>(2,351,798.00)</u>
<u>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</u>	<u>2,164,078.00</u>	<u>(1,800,493.00)</u>



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბი ენდ კეი გეიმს (ს/ნ 404611853 , შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2021 წლის 5 მარტს . კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ბეჟან კალანდაძის ქუჩა N 3, სართული 7, ბინა N33

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- ☐ ირაკლი ჩუბინი (პ/ნ 65002002091) – 100 %;

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- ☐ დირექტორი - აბიბო მეგენიშვილი (პ/ნ 01018004517);

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა, სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა .
NACE -58290 .

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

დირექტორი

ა.მეგენიშვილი

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ცვეთის დარიცხვა ხდება საგადასახადო მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება საგადასახადო მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული დირექტორი

ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დირექტორი

ა.მეგენიშვილი

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.


3. ფული და ფულადი ექვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის , საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების, კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსი როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იყო:

ლარი / 1 აშშ დოლარი	_____	2.6894
ლარი / 1 ევრო	_____	2.9753




ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს

ფული და ფულადი ექვივალენტები	31.12.23	31.12.22
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,153,878	2,352,131
	1,153,878	2,352,131

4. მოკლევადიანი მოთხოვნები


მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავს

მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.23	31.12.22
მოთხოვნები მომსახურებიდან	1,347,811	418,238
მოთხოვნები პერსონალისადმი	0	3903
საგადასახდო აქტივი	3,285	12,719
	1 351 097	434 895



5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.22	წმინდა ცვლილება	ცვეთა	31.12.23
ისტორიული ღირებულება				
კომპიუტერული ტექნიკა	13,287	7525	-	20,812
ოფისის აღჭურვილობა	-	-	-	-
არამატერიალური აქტივები	2 264 254	71356	-	2 335 610
	2,277,541		-	2, 356,422
აკუმულირებული ცვეთა				
კომპიუტერული ტექნიკა	(1227)	-	(1693)	(2920)
ოფისის აღჭურვილობა	(-)	-	-	-
არამატერიალური აქტივები	(593 861)		(325 962)	(919 823)
	(595 088)	-	(327, 655)	(922,743)
საბალანსო ღირებულება				
კომპიუტერული ტექნიკა	12 060	7525	(1693)	17892
ოფისის აღჭურვილობა	-	-	-	-
არამატერიალური აქტივები	1 670 393	71356	(325 962)	1 415 787
	1 682 453	78 881	(327 655)	1 433 679



6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს

სავაჭრო ვალდებულებები	31.12.23	31.12.22
მომწოდებლები	418,145.00	1,698,191.00
ვალდებულებები პერსონალისადმი	-	114,436.00
	<u>418 145</u>	<u>1 812 627</u>

დირექტორი

ა.მეგენიშვილი

